პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ივნისი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 124 (10 043) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

ბრძელდება IV ახალგაზრდული საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები.

დონეცკი. დაიწყო სინქრონული ცურვის ოსტატთა გამოსვლები. საქართველოს გუნდმა წარმატებით შეასრულა სავალდებულო პროგრამა და ასპარეზობას განაგრძობს.

ვოროშილოვგრადი. ცხენოსნურ სამჭიდში სამანეჟო სვლის შემდეგ საქართველოს წარმომადგენლები მეთერთმეტე ადგილზე იმყოფებიან.

მაკეევკა. დაიწყო კალათბურთელ გოგონათა ტურნირი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს სასტარტო შეხვედრა ლატვიელებთან ჰქონდათ. დაძაბული მატჩი საქართველოს კალათბურთელებმა მოიგეს 7 ქულით — 71:64.

საქართველოს ჩემპიონატი წყალში ხტომაში

სევასტოპოლის აუზამდე

როგორი მზადყოფნა აქვთ ჩვენს წყალში მხტომელებს, რომლებიც სულ მალე საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე სევასტოპოლში გაემგზავრებიან? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გამართულ საქართველოს ჩემპიონატს, რომელიც სევასტოპოლის სტარტებამდე უკანასკნელი გენერალური რეპეტიცია გახლდათ.

როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა იური გუტიაკულოვმა გვითხრა, ამ ეტაპზე ჩვენი წყალში მხტომელების მომზადებით იგი უკმაყოფილო არაა. ეს, უწინარეს ყოვლისა, გუნდის ძირითადი ბირთვის წევრებზე ითქმის. თუმცა, მწვრთნელის სიტყვებით, ჩვენს სპორტსმენებს კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ. ახალგაზრდულ თამაშებამდე ნაკრების წევრები ტექნიკის დახვეწაზე მუშაობენ და ვარჯიშზე საშეჯიბრო ატმოსფეროს შექმნას ცდილობენ.

ახლა თბილისში გამართულ ასპარეზობას დავუბრუნდეთ.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გოჩა გახარია კოშკიდან ხტომაში ახალ პროგრამას ითვისებდა. მან უკან სამნახევარი ბრუნის დაუფლება დაიწყო, რითაც თავისი პროგრამა საკმაოდ გაართულა. ამ ნახტომს უმაღლესი სირთულის კოეფიციენტი აქვს. მისი შესრულება ასპარეზობებზე გახარიამ ახლა მეორედ სცადა და კვლავ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მან ამ სახეობაში სპორტის ოსტატის შედეგით გაიმარჯვა.

ახალგაზრდულ თამაშებზე დიდ იმედებს ვამყარებთ თბილისელ ანა როსტიაშვილზე, რომელიც მზადების ამ ეტაპზე ურიგოდ არ გამოიყურება. მან ოსტატის შედეგებით გაიმარჯვა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ასეთივე შედეგით მეორე ადგილზე გავიდა ასევე თბილისელი ინგა ბანდური. ასპარეზობაში თბილისელებს რამდენადმე სერიოზული კონკურენცია ვერც ქუთაისელებმა გაუწიეს და ვერც აჭარის გუნდის წევრებმა. ყველა საპრიზო ადგილი თბილისელებმა დაიკავეს. ისინი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები არიან. გამონაკლისია მხოლოდ სამი, რომლებიც „შრომითი რეზერვებიდან" არიან.

სამწუხაროდ, აფხაზეთის მხტომელები საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ. ეს ზედიზედ მეორე შემთხვევაა, ისინი შეჯიბრებას თავს რომ არიდებენ.

ნათელა ხოშტარია.

სურათებზე: (მარცხნიდან) ნანა ალავიძე, ვახტანგ ბიჭაშვილი, ანა როსტიაშვილი, გოჩა გახარია.

ავტორის ფოტოები.

2 1 3 ქვარცხლბეკი

ქალები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ნ. ალავიძე — 228,15, ე. ტაბატაძე (ორივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 218,49, დ. ლენჩუკი („შრომითი რეზერვები") — 212,80; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** ა. როსტიაშვილი — 462,57, ი. ბანდური — 425,46, ნ. ძეგველაშვილი (სამივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 414,48; **კოშკი.** როსტიაშვილი — 405,72, ი. ოჰანესიანი — 322,29, ი. ჭყონია (ორივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 274,80.

ვაჟები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ვ. ბიჭაშვილი — 319,70, ი. შუქუროვი (ორივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 281,76, ნ. ჩიტია („შრომითი რეზერვები") — 269,43; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** ბიჭაშვილი — 525,42, გ. გახარია (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 523,20, გ. ციბირაშვილი („შრომითი რეზერვები") — 479,46. **კოშკი.** გახარია — 540,90, შუქუროვი — 445,63; ციბირაშვილი — 432,42.

გუნდური: თბილისი — 264 ქულა, აჭარა — 132, ქუთაისი — 82.

საქართველოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში

არასრული შემადგენლობით

ამ შეჯიბრებაში სამი კოლექტივი იბრძოდა („დინამო", „შრომითი რეზერვები" და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), ოღონდ თითოეული ორ-ორი გუნდით იყო წარმოდგენილი — უფროსთა და იუნიორთა ნაკრებებით. არმიის სპორტკლუბი საერთოდ არ გამოსულა.

თუმცა აღნიშნულ გუნდებსაც უძლიერესებს ვერ ვუწოდებთ. ეს უფრო დინამოელთა მისამართით ითქმის. თუმცა ამ საზოგადოებას ჰყავს კლასიკური ჭიდაობის ჯგუფები სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში და, რა თქმა უნდა, — თბილისში, ხალიჩაზე მხოლოდ ქუთაისელი (თასის გათამაშება ამ ქალაქში ჩატარდა) სპორტსმენები გამოვიდნენ, ისიც არასრული შემადგენლობით. ამ გარემოებამ, ცხადია, აშკარად დაასუსტა დინამოელთა ნაკრები და იგი ველარ გაუმკლავდა ძლიერ მეტოქეს — პროფკავშირთა კოლექტივს: უფროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის გაიმარჯვეს პროფკავშირელმა მოჭიდავეებმა — 35:5. ჭაბუკ ფალავანთა შერკინებები კი უფრო თანაბარი იყო, თუმცა დინამოელები მაინც დამარცხდნენ —17:19.



პროფკავშირის გუნდებმა სძლიეს აგრეთვე „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებს, უფროსებმა — 22:11, ჭაბუკებმა — 41,6:26,5 და საქართველოს თასი მოიპოვეს. გაგაცნობთ გუნდის შემადგენლობას, ჭაბუკები: გოჩა და გიორგი ბოცვაძეები, იაშა ბოკუჩავა, შოთა ალანაია, თ. ოქრომჭედლიშვილი, ზურაბ კალანდაძე, არსენ დოლიძე, კობა ჭიჭველიშვილი, თემურ ლომსაძე, ლევან ცაბაძე, ლეილი წირქვაძე, თამაზ ლელაძე. უფროსთა გუნდი: ზურაბ ნიქაბაძე, გია მათიაშვილი, მამუკა ლომინაძე, დიმიტრი მულაძე, ალექსანდრე ახობაძე, რამაზ გუდაძე, კობა ოჩიგავა, დავით ქარსელაძე, ზვიად ჩხარტიშვილი, სოსო გოგია, ზაურ ცხადაძე. გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს ბორის ქვარიანმა, აკაკი ბალხამიშვილმა და რევაზ გვინცაძემ.

მეორე ადგილი დაიკავეს „შრომითი რეზერვების" მოჭიდავეებმა, რომელთაც ორივე გუნდების შეხვედრათა ჯამში სძლიეს „დინამოს" კოლექტივს.

• • •

სურათზე: საქართველოს თასის მფლობელი პროფკავშირელ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები.

ოლეგ ბლოხინის ბენეფისი

გუშინ კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართა გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის ოლეგ ბლოხინის გამოსათხოვარი მატჩი. ეს იყო დიდი სპორტული სანახაობა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები. თვით ო. ბლოხინმა ერთი ტაიმი ითამაშა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, ხოლო მეორე— მსოფლიო ვარსკვლავთაგან შემდგარ გუნდში.

თამაში დამთავრდა 3:2 მსოფლიო ნაკრების გამარჯვებით.

თბილისელი მძლეოსანი — მოსკოვის ჩემპიონი

მოსკოვის IV ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა მარკ მალისოვმა, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურშია და ასპარეზობაზე არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ღირსებას იცავდა. თამაშებში მან საერთო მეორე ადგილი დაიკავა სიგრძეზე ხტომაში, მაგრამ საუკეთესო, შედეგი აღმოაჩნდა (7,39 მ) მოსკოველ სპორტსმენთა შორის რომელთა დედაქალაქის პირველობა თამაშებს დაემთხვა და ჩემპიონის წოდება მას დარჩა.

ეს ახალგაზრდა მძლეოსანი, რომელიც მწვრთნელ ი. დულარიანის აღზრდილია, 1987 წელს საქართველოს ჩემპიონი იყო. ამ დღეებში საბჭოთა კავშირის თასის ზონალურ ტურნირში (საქართველოს ზონა) მ. მალისოვმა პირველი ადგილი დაიკავა, საკმაოდ კარგი შედეგით — 7 მ 61 სმ.

მოსკოვის კრილატსკოეს მშვილდოსნობის სასროლეთი კარგადაა ცნობილი სპორტის ამ უძველესი სახეობის მოყვარულთათვის, მაგრამ ამჯერად იგი სულ სხვა დარგის მოყვარულთ — კეტბურთელებს მასპინძლობს, რომლებიც ჩაბმული არიან საკავშირო ტურნირში ჟურნალ „სელსკაია მოლოდიოჟის" პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობენ საქართველოს, უზბეკეთის, მოლდავეთის, რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის გუნდები.

საქართველო მსოფლიო სპორტულ სამყაროში

წლები, მოვლენები, ფაქტები

საქართველოში ყველა ჭიდაობს ვისაც გული ერჩის, ღონიერი მკლავი აქვს და მუხლში ძალა მოდგამს. ამიტომ თუკი რომელიმე სახეობაზე შეიძლება ითქვას ჩვენში ჭეშმარიტად სახალხოაო, ეს პირველ ყოვლისა ჭიდაობა გახლავთ. ჭიდაობის სახალხოობას და პოპულარობას ტრადიციები განსაზღვრავს, რომელიც უამრავ ლამაზ და რომანტიკულ მოგონებასთან არის დაკავშირებული.

ჭიდაობას რა უნდა, ფეხის გამოკვრა უნდა! ამ სიტყვებს საქართველოში სპეციალურ საჭიდაო ჰანგს ააყოლებენ ხოლმე. ურბენენ წრეს პატარა, მოუსვენარი ბიჭუნები და ისედაც გახელებულ ფალავნებს კიდევ უფრო აქეზებენ. მართლაც რა უნდა ჭიდაობას? არც ბურთი სჭირდება და არც ზომაზე დიდი მოედანი, გული და ღონე უნდა გერჩოდეს, თორემ სიობიელად ორი მტკაველი მიწაც კმარა, ალბათ ამიტომ იყო ჭიდაობა ყველაზე პოპულარული სპორტი ჩვენში: არც ერთი დღეობა, ლხინი თუ თავშეყრა არ ჩატარებულა საქართველოში ამ დალოცვილი ჭიდაობის გარეშე.

ერთ-ერთი უძველესი საჭიდაო წრე თბილისში — გრიგოლ ორბელიანის საყვარელი ასპარეზი, მთაწმინდაზე ყოფილა. 1889 წელს „ივერია წერდა: „მთაწმინდაზე გამართეს ჭიდაობა. დიდძალი ხალხი მიაწყდა. გრიგოლ ორბელიანიც დაესწრო. გულმოსული ხიზამბარელი ხომ საუცხოო სანახავი იყო. განთქმულ ათოლას აღარა გაუვიდა რა გმირთან და მოიდრიკა ქედი ხიზამბარელის წინ".

იხ. მე.2 გვ



ჭიდაობა ძველ ხენაკში. მარჯვნივ წრეში — ნესტორ ეხებუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო მსოფლიო სპორტულ სამყაროში

წლები, მოვლენები, ფაქტები

(დასასრული)

საჭიდაო წრე იყო ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტის ბოლოშიც, მუსკომედიის თეატრის წინ, იქ, სადაც ამჟამად ტრამვაელთა სახლებია. ბაღს, რომელიც იჯარით ჰქონდათ აღებული უცხოელებს, „იტალიელთა ბაღს" უწოდებდნენ. ქართული ჭიდაობა იმართებოდა, აგრეთვე, დიდუბის ეკლესიის ზემოთ, ძველი იპოდრომის პირდაპირ. იქვე მტკვრის მხარეს „გრიშუას ბაღის" მახლობლად ციციშვილების მამულში მოწყობილი იყო გადახურული საჭიდაო მოედანი, რომელსაც „კნიაზების კრუგს" უწოდებდნენ. საჭიდაო წრე ყოფილა ყოფილი ელისაბედის, ახლანდელი კლარა ცეტკინის ქუჩაზე, ავლაბარში საზაფხულო კინოთეატრის შენობასთან, ნაძალადევში, უდადოვის ტყის მახლობლად, „დინამოს" სტადიონთან, ჩიხლაძეების სახერხის უკან...

მაგრამ ცხრაასიან წლებში თბილისელთა ყველაზე საყვარელი საჭიდაო ადგილი ვერაზე, ფიქრის გორა იყო, რომელსაც მარცხენა მხრიდან ცნობილი ქართველი არქიტექტორისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული უნივერსიტეტის ამშენებლის სიმონ კლდიაშვილის ციხე-კოშკი ამშვენებდა. ფიქრის გორა გადმოჰყურებდა მწვანეში ჩაფლულ და აბიბინებულ ვერის ბაღ-რესტორნებს — „ედემსა" და „ფანტაზიას". ფიქრის გორის საჭიდაო წრეს განთქმული მოკრივე და მოჭიდავე ბაბაჭუა (გოლა ლეჟავა) ხელმძღვანელობდა. მას დუქანი ჰქონდა ვარაზის ხევის პირას, პატარა ხიდის ყურესთან, წვერიანი ალექსის დუქნის მოპირდაპირე მხარეს (ალექსი ბარნოვის მოგონებებიდან).

პოპულარული ფალავანი კულა გლდანელი.

ქართულ ჭიდაობას თბილისში მუდამ თან ახლდა ტრადიციული რიტუალი. გამარჯვებულ ფალავანს ქომაგები იტაცებდნენ ხოლმე და ეტლებით მიაქანებდნენ ხან ვერის ბაღებისაკენ (ბაბაჭუასთან, ან წვერიან ალექსისთან), ხან ორთაჭალის ბაღებში, სადაც ერთმანეთის მეზობლად ამაყად წამოჭიმულიყვნენ ცაცანაშვილის „ელდორადო" და ჩოფურაშვილის „მოდი მნახე". ცნობილი სცენისმოყვარე გიორგი ბარელი-ყანჩელი ჩოფურაშვილის განთქმულ დუქანს, ცისფერყანწელთა თავშეყრის უსაყვარლეს ადგილს, ასე იხსენებს: „იქვე ხელზე შეჩვეული დათვი გორაობდა და თუთის ხეზე მოჭიდავე ყოჩი იყო გამობმული, დახლზე კი ყელმოღერებით იჯდა მსხვილდეზებიანი ფალავანი — მამალი, რომელსაც „ივან ივანიჩს" ეძახდნენ".

იტალიელთა ბაღში საჭიდაო წრეს სერგო ქუთათელაძე ხელმძღვანელობდა. აქ თავს იყრიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რუსეთიდან, უცხოეთიდან ჩამოსული ფალავნები. იმ პერიოდში საზღვარგარეთელ მოჭიდავეთაგან თბილისში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ინდოეთის ჩემპიონი გამა ინდოსტანი, პოლონელი ზბიშკო-ციგანევიჩი, ესტონელი ალექს აბერგი, იაპონელი იამაკატა ბაკანუ, ზედმეტსახელად ხუნხუზა, პრუსიელი ციკლოპ ბენკოვსკი (ფრანცი), ზანგები ჩემპერციპსი და ჯოე მორა. ეს უკანასკნელი 1917-1918 წლებში გამოდიოდა ქუთაისის ცირკში, რომელსაც გამყრელიძე ხელმძღვანელობდა. აქ გაიცნო მან კოლია ქვარიანი, რომლის მწვრთნელიც შემდგომში გახდა. 1919 წელს ჯოე მორა პიატიგორსკში მოკლეს.

თბილისის საჭიდაო წრეებს შორის ზოგიერთს სეზონურ ცირკებს უწოდებდნენ, მაგრამ ქალაქში იმ დროს რამდენიმე მუდმივი ცირკიც იყო, მათში უძველესი ნიკიტინის ცირკი გახლდათ, რომელიც „ზარია ვოსტოკას" რედაქციის შენობის ადგილზე იდგა. დიდუბეში ცნობილი იყო ეფიმოვის ცირკი. ელბაქიძის დაღმართის ბოლოში კი, იქ, სადაც ახლა პატარა ბაღია, ესკიკოვსკის ჰქონდა ცირკი, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იგი რამდენიმეჯერ გადააკეთეს. ამ ცირკში სისტემატურად იმართებოდა მოჭიდავეთა ჩემპიონატები, მაგრამ ეს იყო მოგვიანებით, რევოლუციის წინა და შემდგომ პერიოდში, მანამდე კი...

საქართველოში ყველა ჭიდაობდა, ვისაც ძლიერი მუხლი ჰქონდა და გული ერჩოდა, მაგრამ გამორჩეულნი, თურმე, მათშიც ყოფილან.

ამბობენ, რომ დავით ხიზამბარელის მამა-პაპა ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრიდან იყვნენ გადმოსახლებული ნოსტეში. ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ანტონ ფურცელაძე იგონებდა: „ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავს, ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს სანამდე განვითარებულა ჩვენში ჭიდაობა". ხიზამბარელის თანამედროვე, ძველი მოჭიდავის ფსევდონიმით „ივერიაში" წერდა: „საქართველოში ბევრი მოჭიდავე ყოფილა, მაგრამ ხიზამბარელივით სახელი არავის გაუთქვამს". ქართველ ფალავანს თავისი მადლიანი სიტყვა გოგლა ლეონიძემაც შეაწია: „მწარედ მოსთქვამდა ნიკალა, რომ არ გააჩნდა მფარველი, გამოდიოდა გრიგალად მხარგრძელი ხიზამბარელი".

ქართველ ხალხს კიდევ რამდენიმე მოჭიდავის სახელი სასოებით და სიყვარულითა აქვს შემონახული. მათ შორის გამორჩეულნი იყვნენ კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა.

კულა გლდანელს პატივისმცემელი თანამედროვენი ასე იხსენებდნენ: ნამუსიანი ვაჟკაცი იყო, უმთავრესად მკლავმაგარი, თავისი სიტყვის პატრონი, კეთილი ზნე-ჩვეულების მქონე, გარეთ — მაგარი, ოჯახში — რბილი, მეგობრის მოსიყვარულე, ჩაგრულის მომხრე, მჩაგვრელის ამლაგმავი და, რაც მთავარია, ყველასთვის კეთილის მდომი.

მას ბევრი სახელოვანი ფალავანი ჰყავდა წაქცეული — შახნაზარელი ფრანგი მიხაკა, ღონღაძე, ბაქოელი მილიონერის თაგიევის ფალავანი, სპარსელი ხუშტურ ბეგი, თურქი ალთი იაილულა, კახელი გაიოზა, ავლაბრელი სულხან დალაქი, დიდი მთავრის ფალავანი სოლომონ ბულიტაშვილი, ყვანყვალა ვეძისელი, მოკრივე ქარაფ ქანდოლა, ხუნწა ფშაველი და ბევრი კიდევ სხვა.



დიდუბეში

ჭიდაობა

1 კულა გლდანელი • ნესტორ [illegible]

ВЪ ДИДУБЭ

БОРЬБА

ჭიდაობის აფიშა. 1914 წლის 13 ივლისი.

1906 წელს ბაქოში მილიონერ თაგიევს 50 ოქრო შეუძლევია კულასათვის ხუშტურ ბეგს დაუწექიო. კულამ იუკადრისა ულირსი საქციელი, ხელი დაავლო სპარსელს და ბაქოს ქალაქის თავის, თავად ნაკაშიძის ფეხქვეშ დაანარცხა, რითაც ამ უკანასკნელს დიდი სიხარული მოჰგვარა. განაწყენებულმა თაგიევმა და მისმა მილიონერმა დამქაშებმა (ისინი ყველანი ნავთის მრეწველები იყვნენ) საფარ ალიევმა და დადაშევმა კულა მეორე სპარსელ მურშუდს დასჭიდეს, მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია, რაც ხუშტურ ბეგს.

კულა გლდანელი ხშირად საქველმოქმედო მიზნითაც ჭიდაობდა. პეტერბურგს მიმავალი ვაჟა ფშაველასათვის მატერიალური დახმარება რომ გაეწია, კულა თიანეთში ასულა და იქ ფასიანი ჭიდაობა გაუმართავს.

თამაშს ხერხი უნდა, უთქვამს ქართველ კაცს, თორემ ძუნძული დათვმაც იცისო. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ნესტორ ესებუაზე, ფალავანთა ძველი თაობის კიდევ ერთ, ღირსეულ წარმომადგენელზე. ფოცხვერივით სწრაფი იყო და ხარივით ძლიერი, ამბობდნენ მასზე. ფეხს, მკლავს და მოგვერდს ერთნაირი ოსტატობით ხმარობდა თურმე.



სალი სულეიმანის მძლეველი ირაკლი კახელი (ვაჩნაძე).

თვალის დახამხამება რაა, ამასაც ვერ მოასწრებდით, ისე გამოგიყვანდათ წონასწორობიდან. მიწაში იყო მაგრად ჩაჭედილი, მაგრამ უცბად იცოდა კამარის შეკვრა, ქორივით დააფრინდებოდა მეტოქეს და ყველაფერი დამთავრებული იყო.

ნესტორ ესებუამ გამარჯვებებით მოიარა მსოფლიოს ქალაქები. პეტერბურგის ცირკის ჟიურიმ 3 ათასი მანეთით დააჯილდოვა, პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე ზედიზედ 10 უცხოელი ფალავანი დასცა და მთავარი პრიზი 10 ათასი ფრანკი მიიღო. მას ტაშითა და ოლტაცებით ხვდებოდნენ ბრიუსელისა და სტამბულის სარბიელზე. თბილისში ბევრი სახელოვანი ფალავანი ჰყავს „გალახული", მათ შორის კლემენტ ბული და გეორგ ლურიხი. გულმოწყალე კაცი იყო და რითაც შეეძლო, ყველას დახმარების ხელს უწვდიდა. თავისი სოფლის (სორტა) სკოლის მშენებლობისათვის 400 მანეთი შეუწირავს...

1924 წლის 8 ივლისს თბილისის ცირკში ქართველმა ხელოვნებმა და მწერლებმა ნესტორ ესებუას შეხვედრა მოუწყვეს. ფალავნის 40-წლიანი ცხოვრების შესახებ დამსწრეთ ესაუბრა პაოლო იაშვილი, მერე ჭიდაობა გამართულა, რომლის დროს ნესტორს ცნობილი რუსი მოჭიდავე მურომეცი წაუქცევია.

ჭიდაობა თბილისში ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაული იყო და მას, როგორც წესი, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები თავისებურად უხდიდნენ ხარკს. საქვეყნოდაა ცნობილი, მაგალითად, ირაკლი კახელის (ვაჩნაძისა) და თურქი ფალავნის სალი სულეიმანის ორთაბრძოლა, რომელიც კახელის ლამაზი გამარჯვებით დამთავრებულა. ამ შეხვედრას თურმე სჯიდნენ ცნობილი იურისტი შალვა მესხიშვილი, საქართველოს ბულბულად წოდებული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, პოეტი ბეჩარა და შუამავალი არბიტრი „შენ დაუკარ" (იგივე ვანო ჩიბილოვი).

საქართველოში მართლაც ყველა ჭიდაობდა და სწორედ ეს გახლავთ იმ დიდი წარმატებების მიზეზი, რომლებსაც რევოლუციის შემდეგ მიაღწიეს ჩვენმა ფალავნებმა საკავშირო თუ მსოფლიო სარბიელზე. რომელ წარმატებებზე გვაქვს საუბარი, ალბათ ყველა ხვდებით, მაგრამ ერთხელ კიდევ შეგახსენებთ:

„იტალიელთა ბაღის" საჭიდაო წრის ხელმძღვანელი სერგო ქუთათელაძე ფალავანთა ერთ ჯგუფთან. დგანან (მარცხნიდან) ფრანგი ჟან დე კოლონი, ვოლინოვი, კოლია ქვარიანი და მურომეცი. ქუთათელაძისგან მარცხნივ ზის ვანო მედელაური. პირველ რიგში—ზანგი ჯოე მორა.

საქართველოს, ამ პატარა, მაგრამ უმდიდრესი საჭიდაო ტრადიციების მქონე ქვეყანას ჰყავს თორმეტი ოლიმპიური, მსოფლიოს ორმოცდასამი, ამდენივე ევროპისა და 230-ზე მეტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ბევრ ჩვენ ფალავანს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეპოქალური გამარჯვება აქვს მოპოვებული. აი ისინიც:

კონსტანტინე კობერიძე — პირველი საბჭოთა მოჭიდავე (ნიკოლოზ ბელოვთან და იოჰანეს კოტკასთან ერთად), რომელიც 1947 წელს პრაღაში ევროპის ჩემპიონი გახდა. მაშინ საბჭოთა კავშირის საჭიდაო ორგანიზაცია საერთაშორისო ფედერაციის წევრიც არ იყო.

დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი — პირველი საბჭოთა მოჭიდავეები, რომლებიც 1952 წელს ჰელსინკში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ (თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირი ქრონოლოგიურად „კლასიკოსებზე" უფრო ადრე ჩატარდა და პირველობას მათ ამიტომაც აკუთვნებენ).

გივი კარტოზია — პირველი საბჭოთა სპორტსმენი (ბორის გურევიჩთან, არტიომ ტერიანთან, გურგენ შატვორიანთან და ავგუსტ ენგლასთან ერთად), რომელმაც 1953 წელს ნეაპოლში მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა კლასიკურ ჭიდაობაში.

შოთა ჩოჩიშვილი — პირველი საბჭოთა ძიუდოისტი, რომელიც 1972 წელს მიუნხენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ლევან თედიაშვილი — ერთ-ერთი პირველი საბჭოთა მოჭიდავე (ავგუსტ ენგლასთან ერთად), რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჭიდაობის ორ განსხვავებულ სახეობაში — თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში.

მსგავსი პარალელების გავლება კიდევ და კიდევ შეიძლება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით და კიდევ ერთ უნიკალურ ფაქტს გავიხსენებთ: 1954 წელს ტოკიოში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრების ღირსებას რვიდან შვიდი ჩვენი მოჭიდავე იცავდა. ეს ჩვენთვის ისტორიული გუნდი მაშინ ასე გამოიყურებოდა: მირიან ცალქალამანიძე, ვარლამ გიგიაძე, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, ავგუსტ ინგლასი და არსენ მეკოკიშვილი.

მეტი სიცხადისათვის ამ წერილს გვინდა დავურთოთ ქართველ ჩემპიონთა სრული ნუსხა:

თავისუფალი ჭიდაობა. ოლიმპიური ჩემპიონები. დ. ციმაკურიძე, ა. მეკოკიშვილი (ორივე — 1952 წ.), მ. ცალქალამანიძე (1956), ლ. თედიაშვილი (1972 და 1976), დ. გობეჯიშვილი (1988).

მსოფლიო ჩემპიონები. ვ. ბალავაძე (1954, 1957), ა. მეკოკიშვილი (1954), გ. სხირტლაძე (1959), ვ. რუბაშვილი (1961), გ. საღარაძე (1963, 1965), ზ. ბერიაშვილი (1969), შ. ლომიძე (1969, 1971), ლ. თედიაშვილი (1971, 1973, 1974, 1975), ლ. ხაბელოვი (1985, 1987), დ. გობეჯიშვილი (1985).

ევროპის ჩემპიონები. ზ. ბერიაშვილი (1966, 1967, 1970), შ. ლომიძე (1966, 1969), ა. ცხოვრებოვი (1968), ნ. მოდებაძე (1973), ლ. თედიაშვილი (1974, 1975, 1978), რ. ხუტაბა (1982), ლ. ხაბელოვი (1985, 1987, 1988), დ. გობეჯიშვილი (1985), ზ. თურმანიძე (1987).

კლასიკური ჭიდაობა. ოლიმპიური ჩემპიონები. გ. კარტოზია (1956), ა. ქორიძე (1960), რ. რურუა (1968), ვ. ბლაგიძე (1980).

მსოფლიო ჩემპიონები. გ. კარტოზია (1953, 1955, 1958), რ. აბაშიძე (1958, 1962, 1963), ა. ქორიძე (1961), რ. რურუა (1966, 1967, 1969, 1970), ვ. ბლაგიძე (1978, 1981), მ. სალაძე (1981), თ. ყაზარაშვილი (1982), თ. აფხაზავა (1982, 1983), ვ. გედეხაური (1987).

თბილისელ მოჭიდავეთა ერთი ჯგუფი; პირველ რიგში მარცხნიდან — მსუქნიშვილი და დოთიაშვილი, მეორე რიგში სხედან — ლუკა დადიანიძე, ვანო ჩიბილოვი (არბიტრი „შენ დაუკარ") და შაშო ვერელი, დგანან —მედროგე არუთინა, სანდრო კანდელაკი და მიხა ქურხული.

ევროპის ჩემპიონები. კ. კობერიძე (1947), ო. ბლიაძე (1968), შ. მორჩილაძე (1974), ვ. ბლაგიძე (1978, 1980), თ. აფხაზავა (1983, 1984).

ძიუდო. ოლიმპიური ჩემპიონები. შ. ჩოჩიშვილი (1972), შ. ხაბარელი (1980).

მსოფლიო ჩემპიონი. თ. ხუბულური (1979, 1981).

ევროპის ჩემპიონები. ა. კიკნაძე (1962, 1964, 1965, 1966), ა. ქიბროწაშვილი (1962, 1965), ა. მარტყოფლიშვილი (1968), რ. მაღალთაძე (1968), გ. ონაშვილი (1974, 1975), ჯ. ნიჟარაძე (1975), თ. ხუბულური (1976, 1979), დ. ბოდაველი (1981), კ. კურტანიძე (1987, 1989), ა. ტოტიაშვილი (1988, 1989).

სამბო. მსოფლიო ჩემპიონები. გ. გიორგაძე (1973), ლ. თედიაშვილი (1973), ი. მალალიშვილი (1974), ს. ტერნოვიხი (1984, 1985), ჯ. მესელიშვილი (1987).

ევროპის ჩემპიონი. ჯ. მესელიშვილი (1987, 1989).

ნოდარ გუგუშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

საკავშირო პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ოდესის „ჩერნომორეცისა" და თბილისის „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის მატჩში ოდესელი ფეხბურთელი ვ. ერიომინი განზრახ უხეშად ეთამაშა მეტოქე ფეხბურთელს დინამოელ გ. ცაავას და მძიმე ტრავმა მიაყენა მას. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის დადგენილებით ვ. ერიომინს დისკვალიფიკაცია მიეცა ერთი წლით.

ოდესის „ჩერნომორეცის" ხელმძღვანელობამ პროტესტით მიმართა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას, აღნიშნა, რომ საკითხი განიხილეს „ჩერნომორეცის" წარმომადგენელთა დაუსწრებლად და მოითხოვა საკითხის ხელახლა განხილვა.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაავალა თავის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას დამატებით განეხილა ამ ინციდენტის მასალები, კერძოდ, მატჩის ვიდეოჩანაწერი, რომელიც „ჩერნომორეცის" ხელმძღვანელობამ წარადგინა. სპორტტექნიკურმა კომისიამ ხელახლა განიხილა საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მატჩი მიმდინარეობდა ნორმალურ ვითარებაში, ხოლო ვ. ერიომინის მოქმედება არ იყო წინასწარ განზრახული, მან მხოლოდ გაუფრთხილებელი საქციელით მიაყენა გ. ცაავას ტრავმა.

სპორტტექნიკურმა კომისიამ შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წინაშე, რათა შეიცვალოს მისი პირვანდელი გადაწყვეტილება ვ. ერიომინის ერთი წლით დისკვალიფიკაციის შესახებ, ეს სასჯელი პირობითად იქნას მიჩნეული და ვ. ერიომინს 5 კალენდარული მატჩით აეკრძალოს თამაში.

* * *

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ სსრ კავშირის საფეხბურთო თასის ფინალურ მატჩში დნეპროპეტროვსკის „დნეპრსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შორის, რომელიც „დნეპრის" გამარჯვებით დამთავრდა (1:0), ტორპედოელებმა 42-ე წუთზე გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ მინსკელმა მსაჯმა ვ. ჟუკმა თამაშგარე მდგომარეობის საბაბით არ ჩათვალა გოლი.

მატჩის ინსპექტორმა ა. ტაბაკოვმა არბიტრ ვ. ჟუკს და გვერდით მსაჯს ვ. მედვედცკის შეფასება „ორიანები" დაუწერა, „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ კი მატჩის შედეგი გააპროტესტა, რისთვისაც შეიტანა დაწესებული ფულადი გადასახადი — 500 მანეთი.

ეს ინციდენტი 27 ივნისს განიხილა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ.

აღსანიშნავია, რომ კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ მთავარი „მოქმედი პირნი" — ვ. ჟუკი და ვ. მედვედცკი. მატჩის ინსპექტორმა ა. ტაბაკოვმა განაცხადა, რომ როცა ტორპედოელმა ი. სავიჩევმა გაიტანა ბურთი „დნეპრის" კარში, ვ. ჟუკმა გახედა ვ. მედვედცკის. ამ უკანასკნელმა თამაშგარე მდგომარეობა არ აღნიშნა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ი. სავიჩევმა ბურთი გაიტანა, აღიმართა დროშა და მსაჯმაც არასწორად მიიჩნია „დნეპრის" კარში გატანილი ბურთი.

ა. ტაბაკოვის მოსაზრებას სპორტტექნიკური კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს, თუმცა მატჩის ვიდეოფირზე მაინც გარკვევით არ ჩანდა იყო თუ არა იმ მომენტში ი. სავიჩევი თამაშგარე მდგომარეობაში.

და, მაინც, სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ მსაჯის გადაწყვეტილება შეცდომად ჩათვალა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკითხი გადასცა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას, რომლის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართება 30 ივნისს.

საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი, მით უფრო, რომ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაში არის ორი ერთმანეთის გამომრიცხავი პარაგრაფი. კერძოდ, № 33 პარაგრაფში წერია: „განსახილველად არ მიიღება პროტესტი, თუ იგი შეტანილია მსაჯის მიერ თამაშში მომხდარი შემთხვევის გადაწყვეტილების თაობაზე". მაგრამ, იქვე, №37 პარაგრაფში ვკითხულობთ: „განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მატჩის შედეგი არსებითად დამახინჯებულია, შეჯიბრების ჩატარების დადგენილი წესის მიხედვით სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის აღმასკომს (ვინაიდან არც საფეხბურთო კავშირი და არც მისი აღმასკომი ჩვენში ჯერჯერობით არ არსებობს და მათი ფუნქციების შესრულება კვლავინდებურად სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს ევალება) უფლება აქვს გადაწყვეტილება მიიღოს მატჩის შედეგის გაუქმებისა და გადათამაშების შესახებ".

ერთი სიტყვით, საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა თქვას.

გრიგოლ ცაავა:

„იმედით ვცოცხლობ!.."

ცაავა ყავარჯნებით...

მაღალი კიბეებით ავდივარ ბოლო, მეხუთე სართულზე. სიმპათიური, დიდრონთვალება ქალიშვილი მიღებს კარს. მე უკვე ვიცი, რომ ეს ფეხბურთელ გრიგოლ ცაავას ცოლი ნინოა, ტელეფონით შევთანხმდით შეხვედრის თაობაზე. ნინომ პატარა, მყუდრო ოთახში შემიყვანა. რამდენიმე წუთში გრიშაც გამოჩნდა, ყავარჯნებით..

გავიხსენოთ, როგორ მოხდა ეს. ოდესის „ჩერნომორეცისა" და თბილისის „დინამოს" მორიგი კალენდარული 6 ივნისის შეხვედრის დროს, სტუმართა თავდამსხმელი სერიოზულად დაშავდა. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „სოვეტსკი სპორტი": „ერთი რამ არის დასანანი და არასასიამოვნო. ერთ-ერთ ეპიზოდში ერიომინმა უხეშად შეუტია მოწინააღმდეგეს და სერიოზული ტრავმა მიაყენა თბილისელ ცაავას. ეს უკანასკნელი საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან, არბიტრმა კი, უბრალოდ, თვალი დახუჭა ამ სამწუხარო ამბავზე".

ვეკითხები გრიშას — მერე რაღა იყო?

— საკაცით გამიყვანეს და სასწრაფო დახმარების მანქანაში მომათავსეს. ფეხი საშინლად მტკიოდა. ჩვენმა ექიმმა ზაქრო თელიამ ნემსი კი გამიკეთა, მაგრამ შვება არ მიგრძვნია. მითხრეს ველოდებით მანქანას, რომელიც საავადმყოფოში გადაგიყვანსო. ძალიან დიდხანს დაგვჭირდა ცდა. ბოლოს მიმიყვანეს საავადმყოფოში. იქ მხოლოდ თაბაშირი დამადეს, რენტგენის სურათიც კი არ გადაუღიათ და ისევ სტადიონზე დამაბრუნეს. ჩემთან ერთად იყვნენ ჩვენი გუნდის ექიმი და ერთი თბილისელი გულშემატკივარი, მე დიდად მადლობელი ვარ მათი. მატჩი ამ დროს ჯერ ისევ გრძელდებოდა. ავტობუსში ვიჯექი და ბიჭებს ველოდებოდი. რა თქმა უნდა, იმ დროისთვის ტკივილი ჯერ კიდევ არ მქონდა გაყუჩებული. ვცდილობდი მომეთმინა, რადგან ვიცოდი, რომ სახლში კარგა ხანს ვერ მოვხვდებოდი. სპეცრეისი, რომლითაც შინ ვბრუნდებოდით, სოხუმზე გადიოდა, იქ გავჩერდით და დილისთვის უკვე თბილისში ვიყავი. იმავე დღეს გამიკეთეს ოპერაცია.

● **ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ, ერიომინს პირადად თუ იცნობდი და მის მოქმედებაში რაიმე განზრახვა თუ იყო.**

— არა, ერიომინს არ ვიცნობ. არ ვიცი, რატომ დამდევდა მაინცდამაინც მე, მაგრამ როცა მინდორზე, ვიღაც „მეურვეობას" გიწევს, უმალვე იგრძნობ. იგი პირდაპირ ფეხებზე მაბიჯებდა, თურმე, ჩემთან უხეში თამაშისათვის მისთვის ყვითელი ბარათიც უჩვენებიათ, მე ეს მომენტი არ მახსოვს — ბიჭებმა მითხრეს მერე.

● **გრიშა, შენ პროფესიონალი მოთამაშე ხარ და შენი მწყობრიდან გამოყვანა, შენს პროფესიის გარეშე, უფრო ზუსტად — უსახსრებოდ დატოვებას ნიშნავს. საინტერესოა, ესმის თუ არა ერიომინს თავისი უხეშობის ყველა შედეგის სერიოზულობა, მატჩის მერე თუ გნახა და ბოდიში მაინც თუ მოგიხადა?**

— არა. ჩვენს პროფესიულ კლუბში მე ვარ პირველი, ვინც სერიოზული ტრავმა მიიღო. გამოგიტყდებით და თვითონ არ ვიცი, როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევებში. წავიკითხე ჩვენი კლუბის განცხადება, რომელშიც „დინამოს" ხელმძღვანელობა „ჩერნომორეცისგან" კომპენსაციას მოითხოვს. მთავარი აქ ფული კი არ არის, არამედ მოთამაშის ინტერესების დაცვა. ჩვენ ჯერ არა ვართ ამას შეჩვეული.

● **ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— ყავარჯნებით სახლს ვერ ვცილდები, მაგრამ ტკივილები თითქმის აღარ მაწუხებს. მხოლოდ ამინდის შეცვლის გამო თუ ამტკივდება ფეხი. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ექიმ ზურაბ ტყეშელაშვილს (იგი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო და პედაგოგიური ცენტრის მწვავე ტრავმის განყოფილების უფროსი მეცნიერ-მუშაკია), რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა ოპერაცია, ეს ყველა სპეციალისტმა აღიარა. 12 ივლისს თაბაშირს მომხსნიან და აღდგენითი პერიოდი დაიწყება. იმედი მაქვს, სექტემბერში ვარჯიშს შევუდგები.

იმედი მაქვს!..

ესაუბრა
პეპი ბოჟორიშვილი.

დაზარალებულთა დასახმარებლად

ფოთს ეწვია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც 27 ივნისს აქ ამხანაგური შეხვედრა გამართა ადგილობრივ „კოლხეთთან". ფეხბურთი ფოთელი სპორტის მოყვარულებისთვის უცხო ხილი არ არის, მაგრამ ამ შეხვედრამ საგანგებო ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან მატჩის მთელი შემოსავალი გადაირიცხა სტიქიისაგან აჭარის დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

ფეხბურთელებს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთობლივმა მრავალდარგობრივმა გაერთიანება „ფაზისმა" თბილისის დინამოელებს გადასცა ჩინებული სპორტული ფორმა, საზეიმო სანახაობაში მონაწილეობა მიიღეს ნორჩმა ფეხბურთელებმაც, რომლებიც საკავშირო პირველობაზე ასპარეზობენ.

თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს ესოდენ გულთბილი მიღებისა და დაზარალებული აჭარის მოსახლეობისთვის თანაგრძნობის გამოჩენისთვის. აღინიშნა, რომ თბილისის „დინამო" უკვე მერამდენე მატჩს ატარებს საქველმოქმედო მიზნით, ამგვარი საფეხბურთო შეხვედრები მომავალშიც საკმარისად იქნება.

თვით თამაში საინტერესოდ მიმდინარეობდა, დინამოელთა მრავალი ცდის მიუხედავად პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა—0:0.

შესვენების შემდეგ დაწინაურდნენ დინამოელები, ბურთი ყიზილაშვილმა გაიტანა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ზაალიშვილმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და თამაშიც ფრედ დამთავრდა —1:1.

გუნდების შემადგენლობანი: **„დინამო"** — გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჰედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე (ყიზილაშვილი), სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა (აფციაური), გოგიჩაიშვილი; **„კოლხეთი"** — გვასალია, ბაჯალაძე (მთვარაძე), ქაჯაია (ცკაჩია), გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, ჯუღელი (ზაალიშვილი), აბრამიძისი (გურგენიანი), მიქაბერიძე, ონიანი (თიბილაშვილი), იანიშევსკი. მატჩი იმსაჯა ბრიგადამ — თ. ლაცაბიძე, მ. კობიაშვილი, ლ. მგელაძე.

თამაზ ხარაბაძე.

(ტელეფონით „ლელოს" სპეც. კორ.).

* * *

პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების ყვარლის სარაიონო საბჭოსა და რაიონის ვეტერან ფეხბურთელთა თაოსნობით აქ გაიმართა საქველმოქმედო შეხვედრა ყვარლის „დურუჯისა" და ამავე გუნდის ვეტერან მოთამაშეთა შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ვეტერანმა ფეხბურთელებმა. მატჩის მთელი შემოსავალი გადაირიცხა 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა ფონდში.

თ. წიწრიაშვილი.

ხმა ღაღადისა უდაბნოსა შინა...

გაზეთ „ლელოში" ამას წინათ გამოქვეყნდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსის გ. ბაქანიძის წერილი „გოგონები, ქალები, ემოციები და... ფეხბურთი!", სადაც მოკლედ მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ქალთა ფეხბურთი საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში სულ რამდენიმე წლის ისტორიას ითვლის, უცხოეთში კი, მის დანერგვისა და განვითარების საქმეს 20-25 წლის წინ მოკიდეს ხელი.

საქართველოში, კერძოდ, თბილისში ფეხბურთელ ქალთა გუნდები შეიქმნა სამედიცინო სასწავლებლების ბაზაზე, ამ გუნდებიდან დღემდე მხოლოდ თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებლის „ივერია" შემორჩა. შემორჩა და თავისი სიტყვა თქვა კიდეც: იგი შარშან საბჭოთა კავშირის პირველი არაოფიციალური ჩემპიონატის ოქროს მედალოსანი გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირში 20 გუნდი მონაწილეობდა, „ივერიამ" დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება და ჩეხოსლოვაკიაში ჩატარებული ევროპული ტურნირის საგზური მოიპოვა.

„ივერიის" წევრებზეც სწორედ აქ გვინდა შევჩერდეთ და ვთქვათ ჩვენი სათქმელი: წელს, აპრილიდან „ივერია" სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა და საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ფეხბურთელ ქალთა გუნდად იწოდება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „მოდას" ჩვენ არ ავყოლილვართ, ეს გვაიძულა შექმნილმა მდგომარეობამ: მანამდე არსებული გუნდი ეკუთვნოდა პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებას, რომელსაც უნდა ეზრუნა იმაზე, რომ მონაწილეობა მიგვეღო კავშირში ჩატარებულ ტურნირებში, მაგრამ იგი არა თუ არ ზრუნავდა და ხელს გვიწყობდა, პირიქით, გვაფერხებდა კიდეც. მოვიყვანთ ფაქტებს: მიმდინარე წლის მარტში მოსკოვში ჩატარდა გაზეთ „სობესედნიკის" შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად გამოგზავნილი დებულება აღნიშნულ საზოგადოებას მიღებული ჰქონდა 2 თვით ადრე. ნაცვლად იმისა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობის თანხა გადაერიცხა, ამ საზოგადოებამ ყურად არ იღო ეს და ფულიც მწვრთნელის ა. ტალახაძის მეცადინეობით მე-3 სამედიცინო სასწავლებელმა გადარიცხა. შემდეგ გაჭირდა ბილეთების შოვნა, რის გამოც ორი დღით ადრე გადაწყდა, რომ ამ ტურნირში მონაწილეობას ვერ მივიღებდით. 13 მარტს დილით, მორიგი ვარჯიშის დროს, სტადიონზე მოვიდნენ პროფკავშირის სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები: ა. ნიკოლაიშვილი და თ. კუბლაშვილი, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა, რომ გუნდის 5-6 წევრი გაემგზავრებოდა თვითმფრინავით, დანარჩენები კი იმავე დღესვე უნდა წასულიყვნენ მატარებლით.

ივნისში უკვე დაიწყო საკავშირო პირველობა, სადაც 40-მდე გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრების დებულება სპორტსაზოგადოებას ხელთ ჰქონდა უკვე იანვრის პირველ რიცხვებში, მონაწილეობის მისაღებად უნდა გადაერიცხათ 2000 მანეთი, ალბათ ამის გამო დებულება დამალეს თებერვლის ბოლომდე, როცა უკვე თანხა გადარიცხული უნდა ყოფილიყო (ამ დებულების არსებობაც ჩვენ აღმოვაჩინეთ). ამიტომაც შარშანდელი ჩემპიონი გვერდზე დარჩა, ჩვენ კი შეგვეძლო საკუთარი ძალების სრულად გამომჟღავნება. ერთი სიტყვით, პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩით.

„თბილისის „ივერიას" შარშანდელი შემადგენლობიდან თითქმის აღარავინ დარჩა, „მოსწავლეებმა სასწავლებელი დაამთავრეს და თავიანთ ძირითად საქმეს მოკიდეს ხელი". — წერს გ. ბაქანიძე. ჩვენ მას ვეთანხმებით იმაში, რომ ზოგიერთმა მართლაც დაამთავრა სასწავლებელი და მუშაობას შეუდგა, მაგრამ ვარჯიში არ შეუწყვეტია. ისინი სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობენ და გუნდიც ჯანდაცვის სამინისტროს ეკუთვნის, ამიტომაც „ივერია" დღეისათვის კვლავ არსებობს, მას შეუძლია შეჯიბრებაში მონაწილეობაც და წარმატების მოპოვებაც.

ერთსაც ვიტყვით, მართალია, ჩეხოსლოვაკიაში გამართულ ტურნირზე წარუმატებლად გამოვედით, მაგრამ იქნებ „ლელოს" 5 ივნისის ნომერი წაიკითხოთ, სადაც აღნიშნულია, რომ ზაგორსკში შეკრებაზე ყოფნისას ძალზე ცუდი კვება გვქონდა, წონაში მნიშვნელოვნად დავიკელით, კვების გარდა, სხვა პირობებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

გუნდის წევრებს გული დაგვწყდა ამ წერილის წაკითხვისას, ამიტომაც პასუხის გაცემის სურვილი აღგვეძრა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი წერილებით შორს ვერ წავალთ, ჩვენ მივესალმებით ფეხბურთელ გოგონათა ახალი გუნდების შექმნას, დაე, საქართველოშიც გვყავდეს ღირსეული მოწინააღმდეგეები.

„ივერიის" კაპიტანი ირმა მერაბიშვილი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.

რასაკვირველია, თბილისის გუნდი...

საქართველოს თასის გათამაშება მძლეოსნობაში ე. წ. ტერიტორიული პრინციპით ტარდება (რეგიონებს შორის). ამის გამო გამარჯვებული ყოველთვის წინდაწინაა ცნობილი — თბილისის ნაკრები სიძლიერით აშკარად აღემატება ყველას.

წლევანდელ ტურნირშიც, რომელიც გასულ კვირას დამთავრდა, თბილისის „დინამოს" სტადიონზე დედაქალაქის ნაკრები სამი გუნდით ასპარეზობდა. პირველი, მეორე და მესამე ადგილები სწორედ მათ დაიკავეს. შემდეგ მოდიან აჭარის, რუსთავის, ქუთაისის, სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის კოლექტივები.

პირადი შედეგებიდან აღსანიშნავია სპრინტერ ვაჟთა გამოსვლა 100 მეტრზე რბენაში: მიხეილ კიკვაძემ 10,4 აჩვენა, პავლე აგამერიანმა — 10,5. 110 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა იგორ ივანოვმა — 13,6, ვიაჩესლავ ვასილიევის შედეგია 13,9.

400 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო მამუკა არონაშვილი — 48,6, 800 მეტრზე — ზურაბ ხიტირი — 1.54,3. ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა მინდია ერქომაიშვილმა — 51,60 მ. ყველა ზემოჩამოთვლილი სპორტსმენი თბილისის ნაკრების სახელით ასპარეზობდა.

• • •



სურათებზე: ერთ-ერთი გარბენი 100 მეტრზე, წინ მიხეილ კიკვაძეა; ვაჟთა ასპარეზობა 110 თარჯრბენში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ყურადღებით რომ წაგეკითხა...

ამ რამდენიმე ხნის წინ რედაქციაში მივიღეთ წერილი, რომელსაც ხელს აწერს კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ჭიდაობის რაიონული ფედერაციის თავმჯდომარე, ტ. ხუციშვილი. წერილში ბრალი მედებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, „ქართული ჭიდაობის ავტორიტეტისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის საფრთხის შექმნაში". რის საფუძველზეა წამოყენებული ეს მძიმე ბრალდებები? „კორესპონდენტმა გიორგი ჩოჩიშვილმა გააკეთა ნაადრევი, აჩქარებული დასკვნები და შეფასებები, ეს კი მართლაც უქმნის საფრთხეს ქართულ ჭიდაობას"... — ეწერა წერილში.

რა ნაჩქარევ დასკვნაზეა ლაპარაკი? ტ. ხუციშვილს მხედველობაში აქვს გაზეთ „ლელოში" 9 აპრილს გამოქვეყნებული წერილი („ქართული ჭიდაობის ავტორიტეტს საფრთხეს ნუ შევუქმნით"), რომელშიც ვითომ მე ბრალი დავდე კასპის რაიონის სოფელ ხანდაკის გუნდს, კერძოდ, იმაში, რომ ამ გუნდის შემადგენლობაში თითქოს სხვა რაიონის მოჭიდავე იყო. გარდა ამისა, მსაჯების ობიექტურობაც ეჭვქვეშ დამიყენებია და იმით მიმართლებია თავი, რომ — „ხუთი მსაჯიდან სამი კასპელი" იყო.

ახლა კი გადავხედოთ „ლელოს" 9 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს, სადაც წერია: „წაგებულებმა პროტესტი შეიტანეს... მეტოქეს ბრალდება წაუყენეს, სხვა რაიონის სპორტსმენი გამოიყვანაო". ე. ი. აქ გარკვევით ჩანს, რომ ბრალდება გ. ჩოჩიშვილმა კი არ წაუყენა მათ, არამედ მეტოქეებმა. მე მხოლოდ პროტესტის საფუძველი გავაცანი მკითხველს. სხვათა შორის, შეჯიბრების ორგანიზატორები ჩავიდნენ კასპში და იქ განიხილეს პროტესტში წამოყენებული საკითხი, დადასტურდა, რომ ის მოჭიდავე კასპელი ყოფილა.

ახლა მეორე ბრალდების შესახებ. მოვიყვანთ წერილის ფრაგმენტს: „ხუთი მსაჯიდან სამი კასპელია და აბა რას გვიზამდნენ", — ამტკიცებდა ფცის გუნდის ზოგიერთი ქომაგი. ჩვენ, ცხადია, ფიქრადაც არ მოგვდის მსგავსი ბრალდება წავუყენოთ მსაჯებს, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ გულშემატკივრები დარწმუნებულნი არიან მიდგომაში, მეტად სამწუხარო ამბავია"აქაც ნათელია, რომ ჩვენ „ფიქრადაც არ მოგვდის" ბრალი წავუყენოთ მსაჯებსა და ხანდაკის გუნდს. ფცის გუნდის გულშემატკივართა ზემოხსენებული ფრაზა „სამი კასპელი მსაჯის" შესახებ იმ მიზნით გამოვიყენეთ, რომ გვეჩვენებინა, რატომ ატყდა ის ხანგრძლივი, მეტისმეტად მწვავე კამათი ჭიდაობის დამთავრების შემდეგ.

ასე რომ, ტ. ხუციშვილმა სულ ტყუილუბრალოდ დამაბრალა „ქართული ჭიდაობის ავტორიტეტისთვის საფრთხის შექმნა". ცხადია, ეს არ მოხდებოდა, მას რომ ყურადღებით წაეკითხა ზემოხსენებული წერილი „ლელოში".

გიორგი ხოჩიშვილი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ამ დღეებში გაიმართა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 3 მატჩი. გთავაზობთ მათ სტატისტიკურ მონაცემებს.

„ჟალგირისი" — „ზენიტი" 4:0 (1:0). გოლები: კვიტკაუსკასი-3, ნარბეკოვასი. წლევანდელ ჩემპიონატში კვიტკაუსკასმა მეორემ შეასრულა „ჰეთთრიკი" — 3 გოლი ერთ მატჩში.

გააფრთხილეს ვილნიუსელი ფეხბურთელები პანკრატიევი და ივანაუსკასი, აგრეთვე, ლენინგრადელი ვედენეევი.

დუბლიორები — 2:0.

„მეტალისტი" — „როტორი" 1:0 (0:0). გოლი: ტარასოვი.

დუბლიორები — 2:1.

„დინამო" (მინსკი)— „ჩერნომორეცი" 0:0.

გააფრთხილეს დინამოელი დემიდოვი.

დუბლიორები — 3:1.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-15 ტურის შეხვედრები.

„ივერია" (ხაშური) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი რ. მანუკიანი (თბილისი). გოლები: ნოზაძე („ივერია"), ბარამიძე (პოლ. ინსტ.).

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „მზიური" (გალი) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლი: სანაკოევი („სპარტაკი").

„სიონი" (ბოლნისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 3:1. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი). გოლები: სამხარაძე, ტყავაძე, ლაზარევი („სიონი"), ქურცაძე („საპოვნელა").

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დინამო" (გაგრა) 2:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: ჩალიგავა, ბენდელიანი („სამეგრელო"), რაზმაძე („დინამო").

„მადაროელი" (ჭიათურა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:1. მსაჯი ს. ისაბეკოვი (თბილისი). გოლები: ტეფნაძე („მადაროელი"), შამუგია („ამირანი").

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „სულორი" (ვანი) 2:1. მსაჯი დ. შავგულიძე (რუსთავი). გოლები: ცხოვრებოვი (საკუთარ კარში), გაგნაშვილი, ბაბილაშვილი. („ბახტრიონი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს პ. მახაური („ბახტრიონი") და რ. ტყეშელაშვილი („სულორი").

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლი: სუხიაშვილი („შადრევანი").

„არმაზი" (მცხეთა) — „არაგვი" (დუშეთი) 1:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი). გოლები: ყაჩლავაშვილი („არმაზი"), ჯანგავაძე („არაგვი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ზ. ჯაბნიაშვილი და ზ. ძაგნიშვილი (ორივე — „არმაზი"). ხოლო მსაჯთან კამათისთვის შ. ქორჩაშვილი („არაგვი").

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 3:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: ხურცილავა, თურმანიძე, პაიჭაძე (ფიზკ. ინსტ.).

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„ჰერეთი" — „სამგორი" 3:1, „გარეჯი" — „მეტალისტი" 2:5, „სინათლე" — სსი (მუხრანი) 0:2, თსუ — „კახეთი" 0:4, „ალაზანი" — „თრიალეთი" 4:3. „ჩხერიმელა" — „ვარძია" 0:0, „მამისონი" — „საირმე" 2:3, „იბერია" — „ლიახვი" 1:0.

ცენტრალური ქვეჯგუფი

„აბული" — „განთიადი" 8:1, „ჩიხურა" — „თორი" 2:1, „რაჭა" — „მეშახტე" 1:6, „ზარზმა" — „ფარვანა" 5:1.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ოდიში" — „ბეთლემი" 1:0, „ჩიბათი" — „ძევაბზუ" 3:1, „ფაზისი" — „ნარინჯი" 1:6, „მშენებელი" — „სალხინო" 3:2. „მეშახტე" — „მენავთობე" 4:1, „ზანა" — „ხვამლი" 5:2, პოლ. ინსტ. (ქუთაისი) — „დარჩელი" 5:3, „ბახმარო" — „იმერეთი" 2:6, „სუბტროპიკი" — „ეგრისი" 3:1.

I ჯგუფი

გათამაშების ცხრილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შადრევანი"	15	10	5	0	30-8	25
„სპარტაკი"	15	9	2	4	27-15	20
„ამირანი"	15	7	6	2	28-15	20
სპი თბ.	15	7	4	4	33-25	18
„დინამო" ზ.	11	7	2	2	28-12	16
„სქური"	14	7	2	5	21-15	16
„დინამო" გ.	15	7	2	6	30-29	16
„სამეგრელო"	15	7	2	6	16-25	16
„მადაროელი"	14	6	4	4	22-16	16
„მეტალურ."	14	5	5	4	18-14	15
„სიონი"	14	6	2	6	22-23	14
„საპოვნელა"	15	6	2	7	24-26	14
„ივერია"	15	5	4	6	21-24	14
„მზიური"	14	5	4	5	16-19	14
„დურუჯი"	15	5	1	9	14-33	11
„სულორი"	13	4	3	6	17-19	11
„ბახტრიონი"	16	3	4	9	15-30	10
„არმაზი"	15	2	5	8	14-22	9
„არაგვი"	15	2	4	9	14-30	8
ფიზკ. ინს.	15	3	1	11	21-31	7

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსი-მუხრ.	12	10	1	1	42-9	21
„ალაზანი"	13	9	3	1	45-17	21
„ჰერეთი"	12	9	2	1	31-12	20
„კახეთი"	12	7	4	1	33-12	18
„კოლმეურ."	11	7	3	1	33-17	17
„გარისი"	11	5	4	2	15-8	14
„მეტალისტი"	12	4	5	3	25-22	13
„თრიალეთი"	12	5	1	6	22-20	11
„სამგორი"	11	4	2	5	21-21	10
„მიონი"	11	4	1	6	23-31	9
„შირაქი"	10	4	0	6	19-24	8
„ალგეთი"	11	2	4	5	18-33	8
სპორტ. ინტ.	13	4	0	9	17-34	8
„განთიადი"	10	2	2	6	15-29	6
თსუ	10	2	1	7	10-24	5
„გარეჯი"	13	1	2	10	18-40	4
„ქიზიყი"	10	0	1	9	6-40	1

ცენტრალური ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქართლი"	11	10	1	0	37-8	21
„საირმე"	13	9	1	3	30-16	19
„თორი"	12	7	3	2	28-14	17
„ჩხერიმელა"	12	7	2	3	19-13	16
„მესხეთი"	11	7	0	4	36-19	14
„ვარძია"	12	6	2	4	24-15	14
„ჩიხურა"	11	6	1	4	24-15	13
„იბერია"	11	5	2	4	15-15	12
„აბული"	12	5	1	6	35-30	11
„მეშახტე"	11	5	1	5	22-20.	11
„მამისონი"	11	4	2	5	23-21	10
„განთიადი"	12	4	1	7	15-23	9
„ზარზმა"	11	3	1	7	26-26	7
„ლიახვი"	11	3	0	8	13-27	6
„რაჭა"	11	1	0	10	14-46	2
„ფარვანა"	12	0	2	10	6-49	2

დასავლეთი ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იმერეთი"	13	10	3	0	34-14	23
პი ქუთაისი	13	10	2	1	35-14	22
„ნარინჯი"	13	7	4	2	29-18	18
ჩიბ.-გურ.-2	13	8	1	4	33-28	17
„ეგრისი"	13	7	3	3	23-15	17
„დარჩელი"	13	6	3	4	34-24	15
„მეშახტე"	12	6	2	4	29-18	14
„სუბტროპ."	13	6	1	6	29-26	13
„ძევაბზუ"	13	4	5	4	19-23	13
„ოდიში"	13	5	2	6	23-24	12
„ფაზისი"	13	5	1	7	19-31	11
„ზანა"	13	4	2	7	16-17	10
„ბეთლემი"	12	4	2	6	15-18	10
„ბახმარო"	13	4	2	7	16-28	10
„მენავთობე"	13	4	1	8	20-31	9
„მშენებ."	13	3	2	8	19-29	8
„სალხინო"	13	2	4	7	19-25	8
„ხვამლი"	13	0	2	11:	11-40	2

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ვარსკვლავები თ. ლიბრეგთსის წინააღმდეგ

ერთი წელია, რაც თის ლიბრეგთსი ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებს უდგას სათავეში. ამ პოსტზე მან რინუს მიჰელსი შეცვალა, რომლის მთავარ დამსახურებად ევროპის ჩემპიონობის მოპოვება ითვლება. ამ ერთი წლის განმავლობაში თ. ლიბრეგთსის გუნდს არც რაიმე დიდი მიღწევა ჰქონია და არც სერიოზული ჩავარდნა. გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შესაძლებლობებს ინარჩუნებს, მაგრამ ახალი მწვრთნელი მაინც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: მან წამყვანი ფეხბურთელების ჯგუფის გადამტერება „მოახერხა", ახლა გულიტი, ვან ბასტენი, რიიკარდი და ვანენბერგი მოითხოვენ ლიბრეგთსის გადაყენებას და მის ნაცვლად კვლავ მიჰელსის მოწვევას.

ჩემპიონატის სტატისტიკა

ბულგარეთში დამთავრებული ევროპის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელი დანირა ნაკიჩი. ტურნირის ყველაზე ლამაზ კალათბურთელად მიჩნეულია ფრანგი ეკამბი. ჟურნალისტებმა ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს დობროვიჩევა (ჩეხოსლოვაკია), ნაკიჩი (იუგოსლავია), კუზნეცოვა, ზასულსკაია, ზაბალუევა, (სამივე — საბჭოთა კავშირი). ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სამეული ასე გამოიყურება: ნაკიჩი (იუგოსლავია — 122 ქულა); არბუტინა (იუგოსლავია — 93), ფულინი (იტალია, — 86). საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანი იყო ლენინგრადელი ზასულსკაია (80 ქულა), საჯარიმო სროლების საუკეთესო შემსრულებელი — ნაკიჩი (21-19). ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში ყველას აჯობა უნგრელმა ნემეტმა (50). ყველაზე მეტი საგოლე გადაცემა გააკეთა ჩეხოსლოვაკიელმა კალუჟაკმა (16). საბჭოთა გუნდში ამ კომპონენტში საუკეთესო იყო თორნიკიდუ (10).

პასპალი საუკეთესოა

ზაგრების გაზეთი „ვეჩერნი ლისტი" ყოველწლიურად ატარებს კონკურსს, რომლის მიზანია დაასახელოს კალათბურთში იუგოსლავიის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე. წლევანდელი კონკურსის ლაურეატი გახდა ბელგრადის „პარტიზანის" თავდამსხმელი ჟარკო პასპალი. მეორე ადგილი წილად ხვდა სპლიტის „იუგოპლასტიკის" ცენტრალურ თავდამსხმელს დინო რაჯას. მესამეა ბელგრადის „პარტიზანის" ცენტრალური თავდამსხმელი ვლადო დივაჩი. შარშანდელ კონკურსში გამარჯვებული „იუგოპლასტიკის" წევრი დუშან ივანოვიჩი, ამჯერად მეხუთე იყო.

შეგახსენებთ, რომ ამ კონკურსში სხვადასხვა დროს გაუმარჯვიათ: დალიპაგიჩს, (1978, 1982), კიჩანოვიჩს (1979), დელიბაშიჩს (1980), ჩოსიჩს (1981), დრაჟენ პეტროვიჩს (1983, 1985, 1986, 1987), ნაკიჩს (1984), ივანოვიჩს (1988).

ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს: ალექსანდრე ჯორჯევიჩი („პარტიზანი"), ტონი კუკოჩი („იუგოპლასტიკა"), ჟარკო პასპალი („პარტიზანი") დინო რაჯა („იუგოპლასტიკა"), ვლადო დივაჩი („პარტიზანი").

მკითხველი — გაზეთი

ამბობენ, ქალთა სპორტს წმინდა მამაკაცური სახეობებიდან ამჟამად ძალოსნობაც მიემატაო. ნუთუ ეს მართალია?

ნელი სირაძე,
თბილისი.

სპორტის ემანსიპაციის პროცესში ზოგჯერ ერთი შეხედვით, მართლაც, დაუჯერებელი ფაქტები იჩენს ხოლმე თავს. ძნელად, მაგრამ მაინც ვეჩვევით ქალთა ფეხბურთს, ქალთა ძიუდოს, ქალთა ათლეტიზმს... და აი, ახლა ქალთა ძალოსნობა. დიახ, ქალთა ძალოსნობას უკვე სერიოზულ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირში. ამ საქმეს ამიერიდან გაუძღვება ძალოსნობის საკავშირო ფედერაციასთან შექმნილი ქალთა ძალოსნობის სპეციალური კომისია. მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში უკვე ოფიციალურადაა აღიარებული ქალთა ძალოსნობა. ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატიც ჩატარდა. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ქალთა ძალოსნობამ გზა ოლიმპიური სარბიელისკენაც გაიკვლიოს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის ქ. 29. უე 07158

XXII